



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი (ბაკალავრიატი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - სექტემბერი, 2023 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი - 13.10.2023

თბილისი
2023

შინაარსი

| | |
|---|----|
| I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | 4 |
| II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა..... | 5 |
| III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან..... | 8 |
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა..... | 8 |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | 9 |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები..... | 11 |

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|--|--|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეა კასრაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ გვიანიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო |

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|--|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია ² | მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | ინტერდისციპლინური 0788 - მოიცავს ინჟინერიას, წარმოებას და მშენებლობას |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³ | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 14 დეკემბრის №1365958 დადგენილებით |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | |

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულების შესაფასებლად არაგეგმიურ მონიტორინგზე წარმოდგენილია ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა „მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი“.

საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი“ ხორციელდება სტუდენტების სამშენებლო ფაკულტეტის ბაზაზე. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2021 წლის 14 დეკემბერს. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი #0684746) მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით და განესაზღვრა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების (12 რეკომენდაცია) შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად 1 წელი. დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა 2022 წლის 9 დეკემბერს, განსაზღვრული ვადის დაცვით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 31 მარტის სხდომაზე (ოქმი №369481) სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ არ იქნა მიღებული ცნობად, რადგან 2021 წლის 14 დეკემბერს საბჭოს მიერ გაცემული 12 რეკომენდაციიდან 4 რეკომენდაცია არ იყო სრულად შესრულებული. დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად (დარჩენილი რეკომენდაციების შესასრულებლად) საბჭოს მიერ განესაზღვრა 60 დღის ვადა.

აღნიშნულთან დაკავშირებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 10 აგვისტოს №984651 ბრძანებით, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება.

აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 31 მარტის სხდომის ოქმის №369481 საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად დაწესებულების მიერ დადგენილი პროცედურების დაცვით გადამუშავდა საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები, ასევე შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების გასაძლიერებლად გადაიდგა შესაბამისი ნაბიჯები.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგი, კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით (ოქმი №369481) დაწესებულების მიერ ნაწილობრივ შეუსრულებული 4 რეკომენდაციის:

6. გადაიხედოს სასწავლო კურსების: „მწვანე მშენებლობა“, „მშენებლობა და გარემო“, „ბიზნესის წარმოების საფუძვლები“, „მშენებლობის მარკეტინგი“, „სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი“, „მენეჯმენტის საფუძვლები“ და „შესავალი ადამიანური

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

რესურსების მართვაში“ სილაბუსებით გათვალისწინებული შესასწავლი საკითხების შესაბამისობა სასწავლო კურსთან და სასწავლო კურსების მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თემების შინაარსთან;

9. რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდები დაზუსტდეს კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად;

10. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის შეფასების თითოეული კომპონენტი და მეთოდი ითვალისწინებდეს შესაბამისი კურსის სპეციფიკას;

12. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

შესრულების შეფასება, განხორციელდა წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე. ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა ჯგუფის წევრებზე დავალებები. დოკუმენტების შესწავლის პროცესში ექსპერტებს ჰქონდათ ერთმანეთთან მჭიდრო კომუნიკაცია დისტანციურად: ცვლიდნენ ინფორმაციას წარმოდგენილი სააკრედიტაციო მასალების შესახებ, აჯერებდნენ კონკრეტულ ბუნდოვან საკითხებს, უზიარებდნენ ერთმანეთს მოსაზრებებს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე.

მუშაობის პროცესში ექსპერტების მიერ გამოთხოვილი იქნა დამატებითი დოკუმენტები:

1. „მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის“ უმაღლეს საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში, რომელშიც მე-6 რეკომენდაციის შესრულების შესახებ ინფორმაციის გარდა ასევე მოცემული იქნებოდა ინფორმაცია მე-9, მე-10 და მე-12 რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობს შესახებ;

2. მე-9, მე-10 და მე-12 რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ შესაბამისი მტკიცებულებები

რომლთა წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფისთვის გადაცემა დაწესებულების მიერ თავიდანვე არ მომხდარა.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

არაგეგმიურ მონიტორინგზე წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ:

- სრულ შესაბამისობაშია - 1.5 , 2.3 და 5.1 ქვესტანდარტები,
- რეკომენდაციები
- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

უსდ-ს მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში მოტანილ ფაქტობრივ გარემოებებსა და შეფასებებს.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 31 მარტის სხდომაზე, (ოქმი №369481) პროგრამის ანგარიშის განხილვის დროს ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 14 დეკემბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი #0684746) გაცემული რეკომენდაციებიდან მე-6 რეკომენდაცია (გადაიხედოს სასწავლო კურსების: „მწვანე მშენებლობა“, „მშენებლობა და გარემო“, „ბიზნესის წარმოების საფუძვლები“, „მშენებლობის მარკეტინგი“, „სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი“, „მენეჯმენტის საფუძვლები“ და „შესავალი ადამიანური რესურსების მართვაში“ სილაბუსებით გათვალისწინებული შესასწავლი საკითხების შესაბამისობა სასწავლო კურსთან და სასწავლო კურსების მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თემების შინაარსთან) დაწესებულების მიერ ნაწილობრივ იყო შესრულებული. კერძოდ, კურსებში „მწვანე მშენებლობა“, არ ფიქსირდებოდა ცვლილებები, კურსებში „მშენებლობა და გარემო“ მთლიანად ამოღებული იყო პროგრამიდან. კურსებში „ბიზნესის წარმოების საფუძვლები“, „მშენებლობის მარკეტინგი“ დაზუსტებული იყო თემების ჩამონათვალი, მიზნები და სწავლის შედეგები. კურსში „სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი“ დაზუსტებული იყო ლიტერატურა და მიზნები. ძირითად ლიტერატურას დამატებული ჰქონდა სილაბუსის ავტორის მიერ შედგენილი რიდერი. კურსებში „მენეჯმენტის საფუძვლები“ და „შესავალი ადამიანური რესურსების მართვაში“ დაზუსტებული იყო დაშვების წინაპირობები.

ხოლო მე-10 რეკომენდაციის (რეკომენდებულია, სასწავლო კურსის შეფასების თითოეული კომპონენტი და მეთოდი ითვალისწინებდეს შესაბამისი კურსის სპეციფიკას) შესრულებაზე, დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა მუშაობა, მაგრამ რადგან ეს განგრძობითი პროცესი იყო, ანგარიშის წარდგენის დროს იგი არ იყო დასრულებული.

წარმოდგენილი სილაბუსების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სასწავლო კურსების: „მწვანე მშენებლობა“, „ბიზნესის წარმოების საფუძვლები“, „მშენებლობის მარკეტინგი“, „სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი“, „მენეჯმენტის საფუძვლები“ და „შესავალი ადამიანური რესურსების მართვაში“ სილაბუსებით გათვალისწინებული შესასწავლი საკითხები შესაბამისობაშია მოყვანილი სასწავლო კურსთან; სასწავლო კურსების მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამება თემების შინაარსს; სილაბუსებით გათვალისწინებული

სავალდებულო ლიტერატურა განახლებულია და სასწავლო კურსების შინაარსის შესაბამისია; კურსებზე დაშვების წინაპირობები დაზუსტებულია.

სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. თითოეულ სასწავლო კურსში გაწერილია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდები მეტწილად სასწავლო კურსების მიზნების, შინაარსის და შედეგების რელევანტურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 31 მარტის სხდომაზე, (ოქმი №369481) პროგრამის ანგარიშის განხილვის დროს ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 14 დეკემბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი #0684746) გაცემული რეკომენდაციებიდან მე-9 რეკომენდაციის (რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდები დაზუსტდეს კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად) შესრულებაზე დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა მუშაობა, მაგრამ რადგან ეს განგრძობითი პროცესი იყო, ანგარიშის წარდგენის დროს იგი არ იყო დასრულებული.

წარმოდგენილი სილაბუსების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლების მეთოდები სასწავლო კურსების მიზნების, შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისია. სასწავლო კურსებში გამოყენებულია შემდეგი სწავლის მეთოდები: ლექცია, პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული მეცადინეობა და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა კონკრეტული მეთოდები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში), რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს და სასწავლო კურსის მისაღწევ შედეგებს.

შერჩეული სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს როგორც პროგრამის კონკრეტული კომპონენტის, ისე მთელი პროგრამის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 31 მარტის სხდომაზე, (ოქმი №369481) პროგრამის ანგარიშის განხილვის დროს ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 14 დეკემბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი #0684746) გაცემული რეკომენდაციებიდან მე-12 რეკომენდაციის (რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად) რეკომენდაციის შესრულებაზე დაწყებული იყო მუშაობა, წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული იყო ინსტიტუციის ყველა სტრუქტურული ერთეული, პროცესს მართავდა და ხელმძღვანელობდა დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, თუმცა რადგან ეს განგრძობითი პროცესი იყო, ანგარიშის წარდგენის დროს იგი არ იყო დასრულებული.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დგინდება, რომ:

- პროგრამის კურიკულუმის დანართებში (#1, #2) განსაზღვრულია როგორც პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობა, ისე პროგრამის თითოეული სწავლის შედეგების ფორმირებაში მონაწილე სასწავლო კურსები და მათი როლი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება). აღნიშნული მექანიზმები გამოიყენება პროგრამის „მიზნების - შედეგების - შინაარსის“ ურთიერთშესაბამისობის და მიზნებისა და შედეგების მიღწევადობის დადგენის მიზნით;
- დოკუმენტის „ფაკულტეტის კომისიის რეგლამენტის“ თანახმად, ფაკულტეტის კომისიის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის კომპლექსური შეფასება, მათ შორის, სწავლის შედეგების შეფასება (მაგ., დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულმა კომისიამ განიხილა (ოქმი #3) „სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი“. სხვადასხვა სასწავლო კურსებში (მაგ., მშენებლობის მარკეტინგი; შესავალი სახარჯთაღრიცხვო საქმეში; სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი 1, 2 და სხვ.) მიღწეული შედეგები (აკადემიური მოსწრება, A, B, C, D, E, Fx და F შეფასებების განაწილება 100-ქულიანი სისტემის ფარგლებში). ყოველი განხილული სასწავლო კურსისთვის მითითებულია დასკვნები, განსახორციელებელი ქმედებები და სხვ.;
- პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება აკადემიური მოსწრების ანალიზი როგორც პროგრამის პირდაპირი შეფასების მეთოდი (მაგ., წარმოდგენილია 2019-2020 და 2020-2021 აკადემიური წლების შედეგები). ამ მექანიზმის გამოყენებას ასახავს „სწავლის შედეგების

შეფასების ანალიზის“ დოკუმენტი (პროგრამა არასწორადაა დასახელებული როგორც „მშენებლობის მენეჯმენტი“);

- გამოიყენება დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის მექანიზმი - წარმოდგენილია სხვადასხვა გამოკითხვების ამსახველი დოკუმენტები (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა; კურსდამთავრებულთა უკუკავშირი; პერსონალის მიერ პროგრამის შეფასება; სტუდენტების კმაყოფილების კვლევა; სტუდენტთა მიერ პედაგოგის შეფასების ანალიზი; სტუდენტთა მიერ პროგრამის შეფასება). აქვე აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევაში წარმოდგენილი კვლევების დოკუმენტები არ არის სათანადოდ დოკუმენტირებული (მაგ., არ არის მითითებული პროგრამის დასახელება, კვლევების პერიოდი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმის დანართები #01, #02;
- საფაკულტეტო კომისიის რეგლამენტი (დამატებით წარმოდგენილი);
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია. ოქმი #3. სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი (დამატებით წარმოდგენილი);
- გამოკითხვები - აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა; კურსდამთავრებულთა უკუკავშირი; პერსონალის მიერ პროგრამის შეფასება; სტუდენტების კმაყოფილების კვლევა; სტუდენტთა მიერ პედაგოგის შეფასების ანალიზი; სტუდენტთა მიერ პროგრამის შეფასება.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია იყოს უზრუნველყოფილი განხორციელებული აქტივობების სათანადოდ დოკუმენტირება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|----------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

| შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სტანდარტები | | | | |
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა

